№ 144 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, ივნისის 30 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვალირს ნიხრზე მეტი 20°/₀. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## ქალაქ ფოთის ხე-ტყის მრეწველნი,

ქარხნების პატრონები და აგრეთვე მოიჯარადრენი ჩვენი სურვილის წინაალმეგ არა ჩვენზედ დამოკიდებული მიზეზების გამო იძულებული შევიქენით ქარხნები დაგვეხურა. ამიტომ ვაცხადებთ საყოველთაო საყურადღებოთ, რომ ჩვენი

## ქარხნები დახურულია და მუშაობა შეწყვეტილია 19 ივნისიდან ამა 1920 წლისა.

მექარხნენი: სერგი ჭყონია, გიორგი და ემილიანე თელიები, აპოლონ იმნაძე, ერასტო მოისტრაფიშვილი, პორფილე სიორიძე, კლემენტო ჯორბენაძე, გიორგი საბახტარიშვილი, იასონ საბახტარიშვილი, ერმალო ბოლქვაძე, სამსონ ჭყონია, ერასტო პაჭკორია, ევთიმე კილურაძე, ქიშვარდი კეკელიძე, თედორე გუჯაბიძე და გიორგი თედორაძე.

**მოიჯარადრენი: იორდანე დიბორჯგინიძე, იოსებ მახარაძე და კალენიკე ჩხარტიშვილი.**

1651 3—3

## განცხადება
### ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტისაგან.

8 ივნისს 1920 წ. 1265 ნომრით ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტმა ნება დართო ღვინის, კონიაკის და სპირტის საბითუმო საწყობის პატრონს ს. ს. სიმონოვს მის მიერ წარმოდგენილ სავაჭრო ნიშნით განსაკუთრებულ სარგებლობისა ათი წლის ვადით.

1676 1—1

### ოფიციალური განყოფილება

## დეკრეტი
**საზღვარ-გარეთ გასატანი საქონლისათვის დროებითი ბაჟის შემოღებისა.**

1. შემოღებულ იქნეს საზღვარ-გარეთ გასატანი საქონლისათვის ბაჟი თანახმად ამასთანავე დართული ტარიფისა.

2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივნისის 15.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## საბაჟო ტარიფი.
**საზღვარ-გარეთ გასატანი საქონლისათვის.**

| №№ რიგზე საბაჟო ტარიფით. | სახელწოდება საქონლისა. | ბაჟის რაოდენობა ფუთზე ბრუტტო. |
|---|---|---|
| 1 | მარცვალი ფქვილისა, შვრიისა, ქერისა, სიმინდისა, ფეტვისა, ღომისა, ბრინჯისა, დალერლილი მარცვალი დაფქვილი ყოველგვარი . . . . . . . . | აკრძალულ. |
| 2 | კარტოფილი, ლობიო, მუხუდო, ცერცვი და სხვა . | აკრძალულ. |
| 3 | პური და მჭადი გამომცხვარი . . . . . . . . | აკრძალულ. |
| 4 | შაქარი, თაფლი და ყოველგვარი ტკბილეულობა შაქრითა და თაფლით დამზადებული . . . . . . . | 500 მან. |
| 5 | ჩ ა ი . . . . . . . . . | აკრძალულ. |
| | შენიშვნა: მოცვის ჩაი . . | უბაჟო. |
| | ნესვი და საზამთრო . . . | უბაჟო. |
| 6 | ბოსტნეულობა ნედლი, გარდა ნესვისა და საზამთროსი . . . . . . . . | აკრძალულ. |
| 7 | ხილი ყოველგვარი ახალი . | უბაჟო |
| 8 | ხილი ყოველგვარი გამხმარი . | 25 მან. |
| | კაკალი (ნიგვზისა) . . . . | აკრძალულ. |
| 9 | თხილი და წაბლი ნაჭუჭით და უნაჭუჭოთ . . . . . | უბაჟო. |
| 10 | შინაური პირუტყვი ყოველგვარი ადგილობრივი . . | აკრძალულ. |
| 11 | წვრილფეხი შინაური პირუტყვი, გარდა ძაღლისა და კატისა . . . . . . . . | აკრძალულ. |
| 12 | ხორცი, როგორც შინაური საქონლისა, ისე ნადირისა. | აკრძალულ. |
| 13 | ფრინველი ცოცხალი, დაკლული, როგორც შინაური, აგრეთვე გარეული . | აკრძალულ. |
| 14 | კვერცხი . . . . . . . | აკრძალულ. |
| 15 | ერბო, კარაქი, ყველი და ქონი, როგორც ახალი, ისე დამზადებული . . . . . | აკრძალულ. |
| 16 | თევზი ყოველგვარი, როგორც ახალი ისე დამზადებული . . . . . . . . | უბაჟო. |
| 17 | ხიზილალა . . . . . . . | უბაჟო. |
| 18 | ღვინო ყურძნისა კასრობით . | უბაჟო. |
| 19 | ღვინო ყურძნისა ბოთლობით | უბაჟო. |
| 20 | სპირტი ყოველგვარი კასრობით . . . . . . . . | აკრძალულ. |
| 21 | სპირტი ყოველგვარი ბოთლობით . . . . . . . | აკრძალულ. |
| 22 | არაყი 40 გრადუსამდე კასრობით ფუთზე ბრუტტო. | 120 მან. |
| 23 | არაყი 40 გრადუსამდე ბოთლობით . . . . . . . | უბაჟო. |
| 24 | კონიაკი კასრობით . . . . | უბაჟო. |
| 25 | კონიაკი ბოთლობით და აგრეთვე ლიქორი . . . . | უბაჟო. |
| 26 | ძმარი კასრობით და ბოთლობით . . . . . . . | უბაჟო. |
| 27 | ბორჯომის წყალი . . . . | უბაჟო. |
| 28 | ხელოვნურად დამზადებული სასმელი წყალი, უშაქრო . | უბაჟო. |
| | შაქრიანი . . . . . . . . | 100 მან. |
| 29 | მარილი . . . . . . . . | აკრძალულ. |
| 30 | თამბაქო ფოთლოვანი სამონოპოლიო საქონელი *) . | 3000 მან. |
| 31 | თამბაქო დამუშავებული, დაჭრილი, პაპიროსი, სიგარი და ბურნუთი . . . . | უბაჟო. |
| 32 | წუმწუმა . . . . . . . . | უბაჟო. |
| 33 | საპონი სარეცხისა . . . . | 1000 მან. |
| 34 | საპონი ხელისა . . . . | უბაჟო. |
| 25 | ცვილი (თაფლის სანთელი) . | აკრძალულ. |
| 36 | სანთელი ყოველგვარი . . | უბაჟო. |
| | ტყავი კამეჩისა, ხარისა და ცხენის მოუქნელი . . . | აკრძალულ. |
| 37 | ბეწვეული მოუქნელი . . . | აკრძალულ. |
| | ტყავი კამეჩისა, ხარისა და ცხენისა საბოლოოდ მოქნილი . . . . . . . . | აკრძალულ. |
| 38 | ბეწვეული საბოლოოდ მოქნილი . . . . . . . . | 5000 მან. |
| | თხისა და ცხვრის ტყავი გაკრეჭილი . . . . . . . | 500 მან. |
| 39 | ტყავისაგან დამუშავებული საქონელი ყოველგვარი . | 4000 მან. |
| 40 | შეშა . . . . . . . . . . | აკრძალულ. |
| — | შეუმუშავებელი ხის მასალა მაგარი ჯიშისა . . . . | აკრძალულ. |
| | შემუშავებული ხის მასალა რბილი ჯიშისა . . . . | აკრძალულ. |
| 41 | ფიცრები და ყოველგვარი შემუშავებული ხის მასალა. | აკრძალულ. |
| 42 | ნახშირი ხისა . . . . . . | 50 მან. |
| 43 | მარგანეცი (შავი ქვა) . . . | მონოპოლ. |
| 44 | საქონლის რქები და ჩლიქები. | უბაჟო. |
| 35 | ჯაგარი ღორისა გაურჩეველი . . . . . . . . | 3000 მან. |
| | ჯაგარი ღორისა გარჩეული. | 5000 მან. |
| — | თმა ადამიანისა . . . . . | 10000 მან. |
| 46 | ღინღლი და ფრინველთა ბუმბული ანუ ნაკრტენი . | აკრძალულ. |
| — | ცხენის ძუა . . . . . . . | 300 მან. |
| 47 | თივა, ჩალა და ბზე . . . | 5 მან. |
| 48 | ჭილობი . . . . . . . . | უბაჟო. |
| 49 | ტომარა, თოკი სხვილი და წვრილი . . . . . . . | აკრძალულ. |
| 50 | შაბი და შაბიამანი . . . | აკრძალულ. |
| | გოგირდი . . . . . . . . | უბაჟო. |
| 51 | სალებავი მასალა ადგილობრივი . . . . . . . . | უბაჟო. |
| — | სალებავი მასალ მოტანილი . | აკრძალულ. |
| 52 | რკინა, თუჯი, კალა, თუთია ზოდად, ნაჭრად, ნატეხად დაუმუშავებელი სპილენძი. | აკრძალულ. |
| 53 | ნაწარმოები 52 მუხ. მოხსენებული ნივთებისა ყოველგვარი . . . . . . | აკრძალულ. |
| 54 | სპილენძი და თითბერი დაუმუშავებელი ზოდად, ნაჭრად და ნატეხად . . . | აკრძალულ. |
| 55 | სპილენძისა და თითბრისგან ნაწარმოები . . . . | აკრძალულ. |
| 56 | ოქრო და მისგან ნაწარმოები ნივთი გირვანქისათვის . . . . . . . . | 10000 მან. |
| 57 | ვერცხლი და მისგან ნაწარმოების ნივთი გირვანქისათვის . . . . . . . | 600 მან. |
| 58 | ხალიჩა და ფარდაგი . . . | 4000 მან. |
| 59 | ნაბადი, ქეჩა და ყოველგვარი მოთელილი ნაწარმოები . . . . . . . . . | 500 მან. |
| 60 | ქაღალდი . . . . . . . . | აკრძალულ. |
| — | ქაღალდისაგან დამზადებული ნივთები . . . . . | 200 მან. |
| 61 | პაპიროსის ქაღალდი და გილზი . . . . . . . | 600 მან. |
| — | პიანინო . . . . . . . | 10000 მან. |
| | როიალი . . . . . . . | 20000 მან. |
| 62 | ფისჰარმონია . . . . . . | 2000 მან. |
| 63 | სკრიპკა . . . . . . . . | უბაჟო. |
| 64 | ეკიპაჟი ყოველგვარი . . . | 10000 მან. |
| 65 | ავტომობილი . . . . . . | აკრძალულ. |
| 66 | ველოსიპედი . . . . . . | 1000 მან. |
| — | მოტოციკლეტი . . . . . . | აკრძალულ. |
| 67 | ელექტრონის და ტელეფონის აპარატები, მათი ნაწარმოები და მოწყობილობა . . . . . . . . | აკრძალულ. |
| — | ელექტრონის ლამპა . . . | აკრძალულ. |
| 68 | საკანცელარიო საგნები . . | აკრძალულ. |
| 69 | ბამბის თესლი . . . . . . | აკრძალულ. |
| 70 | აბრეშუმის თესლი . . . . | უბაჟო. |
| 71 | სამკურნალო წამალი ყოველგვარი და საამფთიაქო მასალა . . . . . . . . | აკრძალულ. |
| — | — ჩვენი ნაწარმოებისა . | უბაჟო. |
| 72 | ბამბა გაწმენდილი და გაუწმენდელი . . . . . . | 1000 მან. |
| 73 | ბამბის ძაფის ყოველგვარი ნაწარმოები . . . . . . | აკრძალულ. |
| 74 | მატყლი ყოველგვარი . . . | მონოპოლ. |
| 75 | მატყლის ძაფი . . . . . . | აკრძალულ. |
| 76 | აბრეშუმის პარკი . . . . | მონოპოლ. |
| 77 | აბრეშუმის დაუგრეხელი ძაფი . . . . . . . . . | მონოპოლ. |
| 78 | აბრეშუმის ძაფი დაგრეხილი. | მონოპოლ. |
| 79 | ყაჭი . . . . . . . . . | მონოპოლ. |
| 80 | ფართლეულობა ბამბისა ყოველგვარი . . . . . . . | 5000 მან. |
| 81 | ქსოვილი შალისა ადგილობრივი . . . . . . . . | აკრძალულ. |
| | ქსოვილი შალისა ფაბრიკისა. | აკრძალულ. |
| 82 | ქსოვილი აბრეშუმისა ადგილობრივი—მოტანილი. . | უბაჟო. |
| 83 | მანქანა ყოველგვარი . . . | აკრძალულ. |
| 84 | კრამიტი, აგური . . . . . | უბაჟო. |
| 85 | საკერავი მანქანა . . . . | 1000 მან. |
| 86 | ადგილობრივი მინა და მინისაგან დამუშავებული საქონელი . . . . . . . . | უბაჟო. |
| 87 | საქონლის ნაწლევები . . . | 300 მან. |

*) **შენიშვნა:** თუ მომარაგების სამინისტრომ საჭიროდ დაინახა ფოთლოვანი თამბაქოს გატანის ნებართვის მიცემა.

**შენიშვნა:** ყველა ზემოაღნიშნული საქონელი განთავისუფლებულია ბაჟისაგან, თუ იგზავნება საზღვარ-გარეთ მთავრობის მიერ.

**სოჯახო ნივთები.**

ყოველგვარი საოჯახო ნივთისთვის, რომელიც გაიგზავნება საზღვარ-გარეთ, პატრონი გადაიხდის 10 მანეთს ფუთზე.

**შენიშვნა 1:** ა) ყოველგვარი ოქროს ნივთი შეიძლება გაშვებულ იქნეს საზღვარ-გარეთ საბაჟოს მიერ არა უმეტეს ერთი გირვანქისა, თითო მიმავალ ოჯახზე.

ბ) ყოველგვარი ნივთი ვერცხლისა შეიძლება გაშვებულ იქნეს საბაჟოს მიერ საზღვარ გარეთ არა უმეტეს სამი გირ. თითო მიმავალ ოჯახზე.

გ) ზედმეტი ოქრო-ვერცხლის ნივთების გატანა შეიძლება მხოლოდ მთავრობის განსაკუთრებული ნებართვით მომქმედი ტარიფის მიხედვით ბაჟის გადახდით.

**შენიშვნა:** 2. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს უფლება ეძლევა, მთავრობის დადგენილებით, ზემო აღნიშნული ტარიფი შეამციროს ბაზრის მდგომარეობის მიხედვით, ან დროებით სრულიად აკრძალოს ამა თუ იმ საქონლის უცხოეთში გატანა.

1920 წ. ივნისის 15.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## ბრძანება
**რესპუბლიკის ჯარების მიმართ**

27 ივნისი, 1920 წ., № 108.

ვბრძანებ გადაირიცხონ ნამდვილ სამსახურიდან სათადარიგო ჯარში 1897, 1898 და 1899 წელში დაბადებული ყველა ის ჯარისკაცნი, რომელნიც ნამდვილათ ირიცხებიან სამხედრო ერთეულებში და შესრულებული აქვთ სამსახურის კანონიერი ვადა. ამ სახით სათადარიგოთ გადარიცხულ ჯარის-კაცებზე გავრცელდეს დამფუძნებელ კრების მიერ 1920 წლის 22 ივნისს მიღებული მობილიზაციით ლაშქარში გაწვეულ ჯარის-კაცთა და გვარდიელთა ოჯახების დახმარების დეკრეტი, ხოლო მათი სამსახურიდან განთავისუფლება მოხდეს ჯარის საერთო დემობილიზაციის შემდეგ, ჩემი განსაკუთრებული ბრძანების მიხედვით.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

### არა ოფიციალური განყოფილება

## განათლების სამინისტროში.
**სასკოლო განათლება.**

რესპუბლიკის სკოლების საორგანიზაციო კომისიამ თავის ოთხი თვის მოქმედების ანგარიში შეადგინა. კომისიამ მოასწრო საერთო განათლების სკოლების ძირითადი დებულებების შემუშავება, კომისიის აზრით უნდა მოეწყოს 8 წლიანი ყველასათვის სავალდებულო და უფასო სწავლა-განათლება. პირველ კლასში მხოლოდ 6 წლიან ბავშვებს შეუძლიანთ შესვლა. ამ სკოლამ ერთნაირი ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც ჰუმანიურ, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. აღზრდას და განათლებას საფუძვლად ამ სკოლაში შრომა ექნება. საშუალო სკოლები იქნება ორგვარი—საერთო განათლებისა და პროფესიონალური. საშუალო სკოლის კურსი 4 წლიანი არის. პროფესიონალური სკოლები სხვა და სხვა ტიპის იქნება, მაგრამ კომისიამ მოასწრო მხოლოდ კომერციულ და პედაგოგიურ სკოლების ძირითადი დებულებების გამომუშავება. თავის მხრივ პედაგოგიური სკოლა ამზადებს, მასწავლებლებს პირველ დაწყებით სკოლისათვის. უმაღლესი პედაგოგიური სკოლა კი ამზადებს მასწავლებლებს საშუალო სკოლისათვის. პირველის კურსი არის 5 წლიანი. ამასთანავე პირველი სამი წელიწადი საერთო განათლების მომზადებაზე მიდის, უკანასკნელი ორი წელიწადი კი მეთოდიურ-პედაგოგიურ მომზადებაზე. საშუალო სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად განზრახულია სპეციალურ ინსტიტუტის დაარსება. ეს ინსტიტუტი შესატყვისია უნივერსიტეტის ფაკულტეტისა. ამ ინსტიტუტში მიიღებენ სპეციალურ განათლებას უნივერსიტეტში კურს დამთავრებულნი ან და ის სტუდენტები, რომლებიც, უკანასკნელ კურსზე იქნებიან. კომისიამ ყველა დასახელებულ ტიპის სკოლის ძირითადი დებულებები უკვე შეიმუშავა, დაამუშავა მაცადინობის გეგმა და გაკვეთილების განაწილებაც მოახდინა. მომავალ სამოსწავლო წელში აღნიშნულ სკოლების პირველი კლასი გაიხსნება. მუშაობა ამ კლასზე უკვე დამთავრებულია ამასთანავე ამ

კლასის დამახასიათებელი თვისება არის წმინდა სასკოლო ელემენტის საბავშვო ბაღთან შეერთება.

ეს მოვლენა დროებითია და გამოწვეულია მით, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია საბავშვო ბაღების სისტემის შემუშავება. გარდა ამისა სასკოლო პროგრამებში შეტანილი იქნება ზოგიერთი კორექტივები, რომელიც თვით ცხოვრებით არის გამოწვეული. ზაფხულის თვეები განაწილებულია კომისიის წევრებს შორის სპეციალურ მოსამზადებელ მუშაობის საწარმოებლად.

## მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

### საძოვარ ადგილების შესახებ.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ შემუშავებულია მოხსენება მთისა და საზაფხულო საძოვარ ადგილების საკითხის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამ საკითხმა საქართველოში ამ ჟამად მწვავე ხასიათი მიიღო, ვინაიდან საქონლის მეპატრონეებმა, რომლებიც წინათ საქართველოს გარეშე მდებარე საძოვარ ადგილებით სარგებლობდენ, ეხლა საქართველოს საზღვრებს მოაშურეს, რამაც დიდი შევიწროება გამოიწვია. ამ საკითხის მოსაწესრიგებლად მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სპეციალური კომისია დაარსა, რომელიც ადგილობრივ გაგზავნა. მიწათ-მოქმედების სამინისტრო ყველა ზომებს იღებს სადავო საკითხების მშვიდობიანად მოსაგვარებლად. ერთი ასეთი შემარიგებელი კომისია გომბორის რაიონში გაიგზავნა. აქ კომისიამ შესძლო მოსულ ხევსურების და ადგილობრივ საქონლის მეპატრონეების ინტერესების შეთანხმება. მეორე კომისია სოდელ მთებზე იგზავნება. რომ იქაც მოახდინოს სხვა და სხვა ჯგუფების ინტერესების მორიგება. მიწათ-მოქმედების სამინისტრო ყოველ ზომას ღებულობს, რომ დააკმაყოფილოს საქონლის ყველა მეპატრონის ინტერესები მიუხედავათ იმისა, რა ეროვნებისაც არ უნდა იყვნენ ისინი.

### საქართველოს წყლის სამმართველო.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყლის განყოფილებას გადაეცა სარწყავ მუშაობისათვის საჭირო თანხა 9 მილიონი მანეთი ყარაიაზის 5000 დეს. მიწის მოსარწყავად, 2 მილიონი ყარაიაზის 15,000 დეს. მორწყვის პროექტისა და გამოკვლევისათვის, 3 მილ. ფოთის 14,000 დესიატ. ტბების ამოშრობისა და გამოკვლევისათვის და 5 მილიონამდე ფოთის ტბების ამოშრობის საქმის დასაწყებათ. ამას გარდა $^1/_2$ მილიონი გადადებულია „თეთრი ნახშირის" აღწერაზე სამუშაოთ. ეს მუშაობა უნდა დასრულდეს 4 წლის განმავლობაში, და 300,000 მან. წყლის მეურნეობის მდგომარეობის ასაწერად.

### სახელმწიფო მამულები.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში შუამდგომლობა შემოდის სხვა და სხვა კავშირების, საზოგადო ორგანიზაციებიდან მოსამსახურეებისათვის და კავშირის წევრთათვის სახლების დათმობის შესახებ, მაგრამ სახელმწიფო მამულების განყოფილებას არა აქვს არც უფლება და არც საშუალება ასეთი შუამდგომლობა დააკმაყოფილოს.

### გოგირდის აბანოები.

ტფილისის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასცეს მას იჯარით ყველა სახელმწიფო გოგირდის აბანო ახალი ვადით.

## იუსტიციის სამინისტროში

### საგანგებო საქმეთა გამომძიებელი.

იუსტიციის მინისტრმა მთავრობაში აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ქუთ. საოლქო სასამ. საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ. დევიძე დაინიშნოს ტფილისის სასამართლო პალატის საგანგებო საქმეთა გამომძიებლად.

### მცხოვრებთა სამოქალაქო რეგისტრაცია.

იუსტიციის მინისტრმა, რ. მ. არსენიძემ წინადადება მისცა კანონთა გადამსინჯველ კომისიას ერთი კვირის განმავლობაში გამოიმუშავოს კანონ-პროექტი მცხოვრებთა სამოქალაქო რეგისტრაციისთვის ე. ი. მდგომარეობის აქტები დაბადების, დაქორწინების და სიკვდილის შესახებ.

### დანიშვნა.

იუსტიციის მინისტრმა დანიშნა: ტფილისის რეგ. ტრიბუნალის თავმჯდომარის ყოფილი ამხანაგი მ. ფ. ლუკინი დროებით მივლენილია; სამინისტროში. ბაშკიჩეთის უბნის ყოფ. სასამ. გამომძიებელი ა. კოროლენკო დაინიშნა გამომძიებლებთან დაგროვებულ საქმეთა განმათავისუფლებელ კომისიის წევრად. ციხის ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებელი ა. ს. ყუფიანი დამტკიცდა ამ თანამდებობაზე. ციხეების უმცროსი თანაშემწე ა. დ. იაშვილი დაინიშნა დროებით ბათომში ინგლისელებისაგან ციხის მისაღებათ.

## ფინანსთა სამინისტროში

### საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა პროფესორმა ავალიანმა საქარ. დემ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საკითხის შესახებ სთქვა, რომ როგორიც არ უნდა იყვეს ამ პალატის მიზნები, მისი დაწესება მაინც საჭიროა. თანამედროვე სავაჭრო მოქმედებამ, თვით სავაჭრო ოპერაციების ხასიათმა, ისეთი ფორმები მიიღო, რომ ყოველგვარ დაწესებულებას, რომელიც კი მის მოწესრიგებას თავის თავზე აიღებს, ჩვენ უნდა მივესალმოთ. თუ პალატა იკისრებს მხოლოდ იმ საკითხების დამუშავებას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დანგრეულ წარმოების აღდგენასთან და დაიწყებს იმ საკითხების გამოკვლევას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სავაჭრო მრეწველობის მოქმედებასთან, ესეც კი, დიდი საქმე იქნება. რასაკვირველია, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ხასიათის მქონე ორგანიზაციების დაწესებაში, არა მარტო ეკონომიური არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც საქართველო უნდა შევიდეს ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში, როგორც თანასწორი წევრი, მაგრამ ძნელია იმაზე დაყრდნობა და ფიქრი, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატა მოსპობს სპეკულიაციას თუ მოშორებული იქნა სპეკულიაციის გამომწვევი მიზეზები.

თუ შეიქმნა ის პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს წარმოების აღდგენას და საწარმოვო ძალთა განვითარებას, სპეკულიაცია თავის თავად მოისპობა. პალატის უახლოესი მიზანი კი სწორედ წარმოების აღდგენისათვის ხელის შეწყობა იქნება.

### საქართველოს საქონლის ბირჟა.

ფინანსთა მინისტრის საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილავენ საკითხს საქართველოს საქონლის ბირჟის დაარსების შესახებ. ფინანსთა მინისტრის საბჭოში ამის შესახებ ამბობენ, რომ ამ ჟამად ვინაიდან შინაური და გარეშე საქონლის გაცვლა-გამოცვლის ნორმალური პირობები დარღვეულია. ვაჭრობის უდიდესი ნაწილი სპეკულიანტების ხელში ჩავარდა. ფინანსთა სამინისტრო დიდი ხანია ვაჭრობის მოწესრიგებაზე ზრუნავს. საკითხი ბირჟის შესახებ კიდევ შარშან იყო დასმული. ობიექტიურმა პირობებმა არ მისცეს მაშინ სამინისტროს საშუალება ეს პრობლემა გადაეწყვიტა. ამ ჟამად ეს საკითხი დღიურ წესრიგში კვლავ დაისვა. უახლოესი მიზანი, რომელსაც ისახავს საქართველოს საქონლის ბირჟა, მდებარეობს იმაში, რომ მოაწყოს ვაჭრობის რეგისტრაცია, მიიღოს ზომები, რომ ვაჭრობა გამოიყვანოს სარდაფიდან და საქვეყნოდ გახადოს. მიიღოს ზომები რათა მისცეს ადგილობრივ სავაჭრო-სამრეწველო კლასს ხერხი და გამოცდილება, რომლითაც აღჭურვილია, ევროპის ეკონომიურად განვითარებული ერები, რომლებსაც საქართველო შეხვდება მსოფლიო ბაზარზე. სწორედ ეს მიზანი უნდა განახორციელოს ფინანსთა სამინისტრომ სავაჭრო-სამრეწველო პალატის საშუალებით და საქართველოს საქონლის ბირჟის დაარსებით.

### სპირტის დამზადება

ტფილისში არსებულ არაყის გამომხდელ ქარხნის მეპატრონემ სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა, რათა დაეხმაროს მას სპირტის დამზადების საქმეში. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ ტფილისის ქარხანას შეუძლია 2 მილ. გრად. ნედლი სპირტის დამზადება. საჭიროების დროს ორკეცად შეუძლია მოქმედების გაფართოება. 9 თვის განმავლობაში ქარხანას 50-60 ათასი ხორბლეულობა (სიმინდი, ქერი) დასჭირდება. თავის შუამდგომლობაში ქარხნის პატრონი თხოვს საჭირო ხორბლეულის მასალის დათმობის მაგიერად ის პირდება ნახევარ გამოხდილ სპირტის უფასოდ დათმობას. თუ კი ეს საკითხი მოგვარებული იქნება. ქარხნის პატრონი თხოვს მისცეს მას ნებ გამოხდილი არაყის კავკავში გატანისა, სიმინდზე გადასაცვლელად რომლის ნაწილს იგი გამოხდის და სხვას კი ბაზარზე გამოუშვებს გასასყიდათ.

## ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტში განიხილეს კანონ-პროექტი ქალაქთა საბიუჯეტო უფლების შესახებ. პ. ს. შირსკიმ გააკეთა დაწვრილებითი მოხსენება კომისიის მუშაობაზე, კანონ-პროექტის შესახებ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიის მთელი მუშაობა გამსჭვალულია ერთი ტენდენციით ქალაქებისადმი დიდი ნდობით. კანონ-პროექტს საფუძვლად უდევს რუსეთის ყოფ. დროებითი მთავრობის დებულება, ქალაქების შემოსავალ-გასავლის შესახებ ძველ ფორმების შეცვლით და გაუქმებით. შემდეგ აღნიშნულია ქალაქის თვითმართველობაზე გადაცემა რეალურ გადასახადებისა. ამასთანავე სამრეწველო გადასახადებიდან სახელმწიფოს გადასახადის განაწილებაში მონაწილეობის მიღებისათვის 25%. შემდეგ აღძრულ და მოწონებულ იქნა საკითხი იმ პირთა დაბეგვრის შესახებ, რომლებიც ოთახებს აქირავებენ. დაწესებულია ახალი გადასახადები დამატებით სახელმწიფო გადასახადზე იმ შემთხვევაში, როდესაც ვისმეს საცხოვრებელი უფასოთ გადაეცემა და აგრეთვე გადასახადი თამაშზე. კიდევ იმუშავეს 2 ახალ გადასახადს უძრავ ქონების ხმარებაზე და ღირებულების მომატებაზე.

განხილულ იქნა იუსტიციის მინისტრის მიერ დამფუძნებელ კრებაში შეტანილი პროექტი. ბინათა რეკვიზიციის შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის წევრი ბ. გ. ჩხიკვიშვილი, რომელიც უარყოფითად უყურებს მთელი ბინების რეკვიზიციის უფლებას და აღნიშნავს, რომ ლაპარაკი შეიძლება იქნეს თავისუფალ ბინებში შესახლების შესახებო. მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავამ აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

1, კანონის მოქმედების ტერიტორია. 2, უნდა მიეცეს თუ არა ქალაქებს ყველა ბინის რეკვიზიციის უფლება და 3, ქალაქთა უფლება ბინის მოწესრიგების საკითხში კომიტეტმა დაადგინა დაჟინებით მოითხოვონ რათა რეკვიზიციის ფართე უფლება მიეცეს ყოველ ქალაქს.

## დეპეშები

### ფრანგული პრესა.

ბრიუსელიდან იუწყებიან, მოკავშირეთა წარმომადგენლები 4 ივლისს წავლენ სპაში კონფერენციაზე დასასწრებათ. კონფერენცია 5 ივლისს შესდგება.

პარიზში ჯირითზე დიდი ჯილდო მიიღო ინგლისურმა ცხენმა, რომელიც ფრანგს ეკუთვნის.

საზავო კონფერენციაზე მიმავალი ოსმალეთის დელეგაცია რეშიდ-ბეის თავმჯდომარეობით კვირას ინგლისის კრეისერით ტარენტოში მივიდა. იგი იმ სალამოსვე პარიზში გაემგზავრა.

ლისაბონიდან იუწყებიან: პორტუგალიის კაბინეტი შესდგა 10 დემოკრატისაგან (დამახინჯებულია) 3 დამოუკიდებულისა და 1 სოციალისტისაგან. საბჭოს თავმჯდომარე მანონიო მარია, სილვა ფინანსთა მინისტრის პორტფელს იტოვებს. საგარეო საქმეთა მინისტრათ ფრანცისკო კორვია იქნება.

გერმანული პრესა მიესალმა ბერლინში შარლ ლორანის დანიშვნას: „ფოსიშე ცეიტუნგი" აქებს საფრანგეთის მთავრობის არჩევანს. „ლოკალ ანცაიგერი" ამ არჩევნებში ხედავს საფრანგეთის სურვილს, რომ მან გერმანიასთან დაიკავოს კეთილი ეკონომიური დამოკიდებულება. გაზ. „ფორვერტის"-თვის მოკავშირეთა ელჩების დანიშვნა წარმოადგენს იმას, რომ მათ სურვილი აქვთ გერმანიამ აღასრულოს ვერსალის ხელშეკრულება და ვალები გადაიხადოს.

„პტი პარიზიენი" იუწყება: დიდ ვეზირს მიუღებლად მიაჩნია ის პირობები, რომლებიც ფრაკიასა და სმირნას ეხება. იგი ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომელიც აღნიშნავს, რომ ს რუტეები საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოსო. ეს პირობები, ამბობს ის, ოსმალეთს ართმევს ამ ოლქში სუვერენულ უფლებას. მიუხედავათ ამისა ოსმალთა დელეგაცია მზათ არის პრინციპში მიიღოს საერთაშორისო კანტროლი იმ პირობით, რომ ოსმალეთი წარდგენილ იქნეს სრუტეების შესახებ დანიშნულ კომისიაში. ოსმალეთი აგრეთვე წინააღმდეგია ფინანსიური და სხვა პირობებისა, რომლებიც კაპიტულიაციას შეეხება.

კვირას გაიხსნა ბაიონ-ბილბაოს სატრანსპორტო საჰაერო ხაზი.

შერბურგში მოიტანეს 25.000 ამერიკელ ჯარის-კაცის ნაშთს, რომელნიც საფრანგეთისთვის დაიღუპენ. მათ გადაგზავნიან სამშობლოში. გადაგზავნა სექტემბერში დაიწყება.

დეპუტატთა პალატის სხდომაზე ბრიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მთავრობის პოლიტიკას იცავდა. ლაპარაკობენ საფრანგეთის იმპერიალიზმზე, სთქვა მან, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ელაპარაკნათ საფრანგეთის უანგარობაზედ. სირიაში საფრანგეთი ბრწყინავს მთელი თავისი დიდებით. საფრანგეთის სისხლით აღნიშნულია გზა სირიის თავისუფლებისკენო.

პოლონელმა პატარა 8 წლის ყმაწვილმა სამუილ ჟესლავსკიმ, რომელმაც საფრანგეთის გამოჩენილი მოჭადრაკენი დაამარცხა, ამას წინათ ისეთ მოწინააღმდეგეებს გაუკეთა მატი, როგორიც არის ფილიპე ბერტლონი და საბერძნეთის პრინცესა. თამაშის დროს დამსწრე დ-რ ლე-ბონმა მისცა ბავშს რამდენიმე მათემატიკური ამოცანა და თეორემა და თუმცა ბავშმა წერა-კითხვა არ იცის მან ეს ამოცანები გამოიყვანა.

„პტი პარიზიენის" ცნობით კვირას ვენიზელოსმა მიულერანს განუცხადა, რომ ის მოქმედება, რომელიც საბერძნეთის ჯარმა მცირე აზიაში დაიწყო, არ გადავა აღნიშნულ ჩარჩოებიდან, რომელიც განიხილა და ბულონის კონფერენციაზე იყო წარდგენილიო. მან დაუმატა, რომ ჯარის მოქმედებას აღმოსავლეთის მიმართულებით მიზნათ ჰქონდა ჩრდილოეთის ჯარის ფრთის დაცვა, რომელიც დარდანელისკენ მიემართებოდა.

## უცხოეთი

### ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები.

**პარიზი.** პარიზში მყოფმა კადეტთა კომიტეტმა მიმდინარე მომენტის შესახებ რეზოლიუცია მიიღო. რეზოლიუციაში აღნიშნულია ბოლშევიკებთან შეიარაღებული ბრძოლისა და ვრანგელის ჯარის დახმარების საჭიროება. შემდეგ კადეტების პარიზის ჯგუფი აღნიშნავს იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ თავიდან აიცილონ დენიკინის შეცდომები, სახელდობრ: საჭიროა კანონიერ კერძო საკუთრებათ ცნობა იმ მიწების, რომელიც ფაქტიურად გლეხების ხელში გადავიდა, საჭიროა განაპირა სახელმწიფოებთან შეთანხმება, განაცხადოს ქვეყნის ყველა ცოცხალ ძალის კერძო ინიციატივისა და თანამშრომლობის თავისუფლება. მთავრობა დროს დაუკარგავათ უნდა შეუთანხმდეს ახალ პოლიტიკურ ერთეულებს, რომ ამგვარათ ცხოვრებაში გაატაროს სრული დეცენტრალიზაცია. სხვა და სხვა ეროვნების მოთხოვნილება თავისუფლების შესახებ ფართოდ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. მთავრობამ აღებულ ადგილებში უნდა აღადგინოს წესრიგი და თავისი მოქმედება შეუფარდოს პიროვნების თავისუფლებას, რომელიც თებერვლის რევოლიუციით არის მონაპოვარი.

**კოპენჰაგენი.** ტოკიოდან იუწყებიან: ვლადივასტოკში მყოფი შორეულ აღმოსავლეთის კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ციმბირის ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის და მასალების მიწოდება გაიყო 2 ნაწილათ: ერთი გენ. რო-პის მეთაურობით გაემგზავრა იაპონიაში. იქ იგი შეუდგება თავის საქმეების ლიკვიდაციას. კომისიის მეორე ნაწილი დარჩა ჯერ-ჯერობით ვლადივასტოკში, სადაც გენ. ფედოროვთან ერთად განაგრძობს თავის მოქმედებას და იმავე დროს ზომებს ღებულობს სალიკვიდაციოდ.

**კონსტანტინოპოლი.** საბერძნეთში მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება. ვენიზელოსის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბრძოლამ ცხარე ხასიათი მიიღო. პალატაში ვენიზელოსის მოწინააღმდეგენი ცოტა არიან, მაგრამ საკმაოთ გავლენიანი და მდიდრები არიან. ისინი არ იშურებენ ღონისძიებას ვენიზელოსის წინააღმდეგ აგიტაციის საწარმოებლად. ვენიზელოსის მომხრე გაზეთები ამბობენ, რომ ოპოზიციის ზურგს უკან სდგანან ყოფილი მეფე კონსტანტინე და გერმანელები. სხვა გაზეთები ვენიზელოსით უკმაყოფილებას ხსნიან სმირნის და ფრაკიის დაპყრობით და იმითი, რომ არსებობს გარანტია ამ ოლქების მომავალ ბედის შესახებო.

**ლონდონი.** „ტაიმსი" იუწყება მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ, რომ ახლო ხანში ირლანდიის ქალაქებში გააძლიერონ გარნიზონი. სინფეინერებთან ბრძოლა ახალ ფაზაში შედის.

**ვაშინგტონი.** შაქრის შესახებ გუვერმა განაცხადა: საჭიროა მივიღოთ ზომები შაქრის

ზმარების შესამცირებლათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკა უშაქროთ დარჩება.

**ლონდონი.** პალესტინაში მყოფ საოკუპაციო ძალების წარმომადგენელ გენ. ბოლსთან წარსდგა დელეგაცია შემდეგი პეტიციით: ჩვენ, მცხოვრებთა 70% წარმომადგენელები, რომელნიც მთელი მიწის 75% მესაკუთრენი ვართ, ვაცხადებთ, რომ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი დემონსტრაციის ინგლისის მთავრობის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ძალა-უფლება ქალაქებში დიდი ბრიტანეთის მთავრობას უნდა ეკუთნოდეს. ამავე დროს ვაცხადებთ არაბ მცხოვრებთა სახელით, რომ არავითარ საფრთხეს არ უყურებთ სიონელების ემიგრაციაში. ჩვენი დამოკიდებულება სიონელებისადმი დაფუძნებულია უფლებაზე და სამართლიანობაზე. ამ პეტიციას ხელს აწერს 203 არაბი, პალესტინის 82 დიდი სოფლის წარმომადგენელი.

**კავკავი.** საჩეჩნეთში სოფ. ვოზდვიჟენსკიაში მძიმეთ დასჭრეს სამხედრო კომისარი ჩიკალო. კერძო ცნობებით ჩიკალო მომკვდარა.

პიატიგორსკისა და სუნჯის ყაზახები მობილიზაციის შიშით მთებში მიდიან. ადგილობრივმა მთავრობამ წასულთ წინადადება მისცა უკან დაბრუნდენ და შეპირდა მათ სტანიცებში დატოვება წესრიგის დასაცავად. ქალაქში იჭერენ პოლონეთის ქვეშერმდომთ. პირველ შეძლემისამებრ დაჭერილებს ციმბირში გააგზავნიან.

**ლონდონი.** ვილსონის მოწინააღმდეგეთ რიცხვი დღითი დღე იზრდება.

## ტყვეების ჩამოსვლა ადერბეიჯანიდან

28 ივნისს, საგანგებო მატარებლით ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდენ გვარდიელები და ჯარის კაცები საქართველო-ადერბეიჯანის ომის დროს ბაქოში დარჩენილნი. ტყვეებს სადგურზე მიეგებენ მთავრობის თავმჯდომარის მდივანი ცინცაძე, სახალხო გვარდიის უფროსი ჯუღელი და დამფუძნებელ კრების ზოგი წევრი. ამ შეხვედრას დაესწრენ აგრეთვე საგ. საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე და დიპლ. წარმომად. ალშიბაია. სულ ჩამოვიდა 60 ჯარისკაცი და გვარდიელები და 4 ოფიცერი. ჯუღელი მათ სიტყვით მიესალმა. ჯარისკაცების გარეგნობა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. არიან გამხდარნი და შიმშილით გამოფიტულნი. აცვიათ დაგლეჯილი პერანგები და შარვლები. ზოგს ნარტყმევი ამჩნევია. ერთ ყოფილ ტყვეს თავი აქვს გატეხილი.

ტყვეები დასასვენებლად და გამოსაკეთებლად საავადმყოფოში გაგზავნეს.

ტყვეებმა საქართვ. დეპ. საავენ. წარმომადგენელს გადასცეს, რომ ტყვედ წაყვანის შემდეგ მათ წინადადება მისცეს ჩაწერილიყვენ წითელ ჯარში, მაგრამ უარის თქმის შემდეგ ისინი თითქმის სრულებით გააშიშვლეს და გააგზავნეს კუნძულ ნარგენზე, სადაც ტყვე მოხალისენიც იმყოფებოდენ. ტყვეებს დღეში აძლევდენ 1 ბოთლ წყალს ერთ მეოთხედ და ხანდახან ნახევარ გირვანქა პურს, რომელიც ბამბის კაკლების ხენჯიდან იყო გაკეთებული. ტყვეები ირონიულად ამბობენ: დეე ისინი წავიდენ ადერბეიჯანში და იმათ იცხოვრონ, რომლებიც ამბობენ ბალშევიკებთან სამოთხეაო.

ფრონტის დამხმარე მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა შეჰკრიბოს ცნობები იმ რეჟიმის შესახებ, როგორადაც ეპყრობოდენ ჩვენ ტყვეებს ადებეიჯანში.

# ახალი ამბები

**ბათუმის დაბრუნება. გუშინ დამფუძნებელი კრების სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ასრულდა ქართველი ერის ნების ყოფა, უთანასწორო ბრძოლით ჩამოგლეჯილ ბათუმზე და მის ოლქზე შეთანხმების სახელმწიფოებმა აღიარეს საქართველოს უფლება. განცხადებას კრება ტაშით და ოვაციებით შეეგება.**

✦ **პურის უვარგისობის გამო.** თ. ქ. სასურსათო განყოფილება აცხადებს: ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები მუშათა მაგიდის იმ პურის ხარისხის გაუარესების გამო, რომელიც ცხვება ქალაქის საცხობებში. სხვათა შორის მოთავსებული იყო ცნობა, თითქოს შრომის სამინისტრომ მიმართა ქალაქის მოურავს თხოვნით, რომ მან მიიღო ზომები პურის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის გამო სასურსათო განყოფილება საჭიროთ სთვლის გამოაქვეყნოს შემდეგი: განყოფილებამ შემოიღო სასტიკი ზედამხედველობა პურის გამოცხობაზე და მუშათა ყოველი ჯგუფი, რომელიც გააფუჭებს პურს, პასუხს აგებს დისციპლინარულად და მატერიალურად. პურის მდარე ხარისხი შედარებით წინეთ გამომცხვარ პურთან აიხსნება იმით, რომ ეხლა პური ცხვება არგენტინის ხორბლისა, რომელიც ხარისხით ბევრათ უარესია კანადის ფქვილზედ, რომლისგან წინად ცხვებოდა პური. არგენტინის ხორბალი იძლევა შავს და უფრო მძიმე პურს. ამის გარდა იყო შემთხვევები, როდესაც სასურსათო განყოფილებას ეძლეოდა ადგილობრივი ხორბალი, დანაგვიანებული, რაიც იყო მეზეზი თავის დროზედ წარდგენილ იყო სასურსათო განყოფილების მიერ შრომის სამინისტროში.

✦ **მეორე საეკლესიო ყრილობა.** ყრილობის მეორე სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი ქათალიკოს ლეონიდის თავმჯდომარეობით. შემდეგ არჩეულ იქნა სამანდატო კომისია და დაამტკიცეს რეგლამენტი. შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრმა გოთუამ წინადადება შეიტანა, სანამ მუშაობას დავიწყებთ ავირჩიოთ დელეგაცია მთავრობის თავმჯდომარის მისასალმებლადო. წინადადება ერთხმად მიიღეს. დელეგაციაში 12 კაცი აირჩიეს. შემდეგ მუშაობის დასაჩქარებლად 6 კომისია იქნა არჩეული, არჩეულია შემდეგი კომისიები: 1) ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ, 2) ფინანსიური, 3) განმანათლებელი, 4) იურიდიული, 5) ტიბიკონის შემასწორებელი და სხ. შემდეგი სხდომა დანიშნულია ქვაშვეთის ეკლესიაში.

✦ **ჩემო.** ჩემოს საერთო კრებაზე საზოგადოების საბჭოს წევრებათ აირჩიეს: მ. ქურული და კ. თუმანოვი, გაგზავნილია საბჭოში ს. წერეთელი, ა. ჯაყელი, ფ. თოფურია, ი. პერსენაკი, ბ. პაპავა და სხ.

✦ **ტფილისის კონსერვატორია.** ტფილისის კონსერვატორიის სამხატვრო საბჭომ დაადგინა სასურველად იცნოს კონსერვატორიის საქართველოს რესპუბლიკის ხელში გადასვლა ისე რომ კონსერვატორია რუსეთის მუსიკალურ საზოგადოებიდან, ან სხვა რომელიმე საზოგადოების დამოკიდებულებიდან განთავისუფლდეს. ეს რეზოლიუცია სახალხო განათლების მინისტრს აუწყეს.

✦ **ჟურნალისტთა საერთო კრება.** ოთხშაბათს 30 ივნისს საღამოს 6 საათზე თვითმართველობის სხდომის დარბაზში დანიშნულია ჟურნალისტთა კავშირის საერთო კრება ჟურნალისტთა ხელფასის შესახებ სათათბიროდ. სხდომაზე კავშირის გამგეობა მოხსენებას გააკეთებს თავის მოქმედების შესახებ. დანიშნულ დროს თუ ქვორუმი არ შესდგა ერთი საათის შემდეგ დაინიშნება მეორე სხდომა რომელიც კანონიერათ ჩაითვლება.

✦ **სასურსათო საქმის მოწყობა:** ტფილისში დაბრუნდა ბორჩალოს მაზრაში წასული ო. ადანია, რომელსაც მინობილი აქვს ტფილისისათვის პურის დამზადება. მან საქ. დეპ. საავენ. თანამშრომელთან საუბარში სთქვა, რომ იგი ბორჩალოს მაზრაში იყო წასული ტფილისისათვის პურის დასამზადებლად. ადანაია მოელაპარაკა სამაზრო ერობას, რომელიც მას შეპირდა დახმარებას ხორბლეულობის ყიდვაში. დამზადების საქმეში ჩაითრევენ კოოპერატივებსაც, რომელთანაც ერობა აწარმოებს მოლაპარაკებას.

✦ **კარგი მოსავალი.** მომარაგების სამინისტროს თელავის და სიღნაღის რწმუნებულები ატყობინებენ, რომ მოსავალს მშვენიერი პირი უჩანს; მცხოვრებლები ირწმუნებიან, რომ წლევანდელი მოსავალი ყოველივე მოლოდინს გადააჭარბებსო. ხორბლისა და ქერის ფასები 40%-ით დაიწია: ორი კვირის წინათ ფუთი ხორბალი 1000 მანეთზე მეტს ფასობდა უკანასკნელ დღეებში კი 500 მანეთამდე დაეცა, ქერი ნაცვლად 600—700 მანეთისა 300 მანეთს ფასობს.

✦ **გაგრაში.** გაგრის კლიმატიურ სადგურის უფროსად ინჟენერ ჯაფარიძის მაგივრათ შ. ურუშაძე დაინიშნა.

✦ **„სოციალური დახმარების დღე“.** ტფილისის სოციალურ დახმარების ცენტრალურ კომიტეტის მიერ 26 ივნისს გაპართულმა სოციალურ დახმარების დღემ დაახლოვებით 66958 მან. წმინდა შემოსავალი დატოვა. მათ შორის 16520 მან. შესწირეს უცხო პირებმა.

✦ **ადერბეიჯანის საგ. საქმ. კომისარის ჩამოსვლა.** ორშაბათს, 28 ივნისს, საჩქარო მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა ადერბეიჯანის საგ. საქმეთა კომისარი ბ. ჰუსეინოვი. ამავე მატარებლით ჩამოვიდა ადერბეიჯანში დანიშნული საქართვ. დიპლომ. წარმომადგენელი გრ. ალშიბაია. მატარებლის მოსვლისას სად. ბაქანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, სადგურზე ამავე დროს მოვიდა საქარ. საგ. საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე.

✦ **საბჭოთა საკონსულო ტფილისში.** 29 ივნისს ტფილისში თავისი მოქმედება დაიწყო რუსეთის საბჭოთა საკონსულომ, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზე № 12. გახსნის დღეს წარდგენილი იყო 300 განცხადება გაშვების ნებართვის შესახებ. სულ მისცეს 50. საკონსულოს ჯერ-ჯერობით არ შეუმუშავებია არავითარი წესი საბჭოთა რუსეთში შესასვლელ ნებართვათა გაცემისა.

✦ **მ სალმება სამხედრო მინისტრს.** სრულიად საქართველოს მეორე საეკლესიო დელეგატთა კრება დიდის აღფრთოვანებით სალამს უძღვნის და ლოცვა-კურთხევას უგზავნის თავის სიამაყე ფრონტზე მდგომ ძლევამოსილ ქართველ ლაშქარს. დიდება-უკვდავება, რომელიც სიხარულით და სიყვარულით მსხვერპლად სწირავს თავის ახალგაზრდა ნორჩ სიცოცხლეს და ამით სამარადისოდ სჭედს თავის ქვეყნის და ერის ბრწყინვალე მომავალს.

✦ **სატარიფო პალატაში.** სატარიფო პალატის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს: 1. მუშაობა კვირაობით და უქმე დღეებში, იმ შემთხვევაში კვირაში თავისუფალი დღეც რომ იქნეს, ზედმეტი ნორმით უნდა იქნეს დაჯილდოვებული. გამოდის რა აქედან სატარიფო პალატას აუცილებლად მიაჩნია, რომ ტრამვაის მიმდინარე შეკეთებისას მუშებს ხელფასი მოუმატოს. მომატების რაოდენობის გამორკვევის საკითხი პალატის პრეზიდიუმს გადაეცა განსახილველად: 2. დამტკიცდეს ოფიციანტებისათვის, რომლებიც განსაზღვრულ ჯამაგიერის მაგიერ 20% იღებენ ანგარიშზე სასურსათო ფულად 800 მან. მიეცემა თვეში, რადგანაც ისინი მომარაგების ფონდიდან სურსათით არ სარგებლობენ.

✦ **დაპატიმრება.** დააპატიმრეს გზათა კომისარი ა. ბ. გაიდაროვი. გაიდაროვის დაპატიმრება შემდეგ პირობებში მოხდა: ადერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მისია, რომელიც საქართველოში იყო რკინის გზის საკითხებზე მოსალაპარაკებლად ბაქოში 21 ივნისს დაბრუნდა და ამ მისიასთან ერთად როგორც მისი წევრი დაბრუნდა გზათა კომისარი ინჟ. გაიდაროვიც. იმავე დღეს საღ. 5 საათზე გაიდაროვი დააპატიმრეს საგ. კომ. ორდერით. გაიდაროვს აბრალებენ გამოჩენილ პოლიტიკური მოღვაწეთა განთავისუფლებას, რომელნიც განჯის აჯანყებაში იღებდენ მონაწილეობას. მის ადგილზე დაინიშნა ჩიმდიზინდიმი.

✦ **გუნდის გამოცდა.** საბოლოვო გამოცდა სახელმწიფო თეატრის ახალ მომღერალთათვის, საგანგებო კომისიის თანდასწრებით, დანიშნულია სახელმწიფო თეატრში დღეს 30 ივნისს საღამოს 5 საათზე.

✦ **სომხეთის ფინანსთა მინისტრის ამხანაგი.** ტფილისში მოვიდა სომხეთის ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ა. მელიქიანი, რომელიც საქმეების გამო სომხეთის მისიაში ღებულობს ყველას ყოველ დღე 11—2 საათამდის.

✦ **კონკურსი გვარდიის მარშის გარშემო.** 27 ივნისს სახელმწიფო თეატრში მოხდა კონკურსი გვარდიის მარშის ამორჩევაში. სულ კონკურსზე 4 მარში იყო წარდგენილი. ჟიური ყურადღების ღირსად 4 მარში იცნო, განსაკუთრებით მეოთხე, რომლის ავტორი აღმოჩნდა განიორსკი. გვარდიის დივიზიონის ორკესტრს ვ. მიზანდარი დირეჟორობდა.

✦ **ვალიუტის ოფიციალური კურსი.** გირვანქა სტერლინგი (ბანკნოტი) 1150 მან. ამ კურსით მომარაგების სამინისტრო უსწორებს ანგარიშს ყველა დაწესებულებას და კერძო პირს.

✦ **ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა.** 25 ივნისს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობა დასრულდა. ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტში არჩეულია: ნ. ელიავა, მ. რუსია, ნ. ფალილეევი, ა. ჯაჯანაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, დ. კალანდარიშვილი, ქ. გოგუა, ს. მდივანი, ი. ჟორდანია, ნ. გოთუა, ვ. ჩხაკვიშვილი, ვ. თოფურიძე, ა. ლანდია, გ. ბადრიაშვილი, ი. მურკანიძე, თოდუა, ვ. შარაშიძე, ვ. ლლონტი, კორძაია და ჩხეიძე. სარევიზიო კომისიაში არჩეულია: პ. კახიანი, ა. პაპავა, გ. კონიაშვილი, ხიდერბეგიშვილი, თუმანიშვილი.

# ე რ ო ბ ა

**თემის წარმომადგენლების თათბირი.**

თფილისის ერობის თვითმართველობის და თემის წარმომადგენლების თათბირზე განიხილეს საკითხი შკოლის საქმის დაყენებისა და მედიკურ აგრონომიულ და ვეტერინარულ პუნქტების დაარსების შესახებ. გადაწყდა. 1. სახალხო განათლების საერთო ხელმძღვანელობა გადაეცეს სამაზრო ერობას, თემებს კი ევალება საშვალო საქმის სამეურნეო მხარის გაუმჯობესება. 2. მედიკური, აგრონომიული და ვეტერიონალური პუნქტები რჩება სამაზრო ერობის განკარგულებაში, 3. მცხოვრებთა მოწოდება გზების და არხების შესაკეთებლად და აგრეთვე მასალის მიწო-დება ევალება თავის რაიონში თითეულ თემს. 4. თუ თემს დასჭირდა გზის და არხების გაყვანა, თბილისის ერობის თვითმართველობა მას დაეხმარება ტეხნიკურად. ამავე თათბირზე დაადგინეს თემის საზღვრების გადასინჯვა.

**სიძველეების დაცვა.**

თფილისის ერობის თვითმართველობამ სასკოლო განყოფილებას წინადადება მისცა ყოველივე ზომა მიიღოს ტფილისის მაზრაში სიძველეთა დასაცავათ.

# ფოსტა-ტელეგრაფში

**საქართველო წევრი საერთაშორისო საფოსტო კავშირისა.**

ფოსტის, დეპეშათა და ტელეფონის სამმართველოს უფროსმა მიმართა საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებულს—შვეიცარიაში თხოვნით, რომ უკანასკნელმა საერთაშორისო ფოსტის ადმინისტრაციას აცნობოს, რომ საქართველოს ფოსტის ადმინისტრაცია, როგორც ყოველთვის, სხლაც მზათ არის შეასრულოს ყველა ის მოვალეობა; რომელსაც კი დააკისრებს მას მთავარი კონვენცია საერთაშორისო კავშირის მონაწილეთ და აგრეთვე სხვა ყველა მოთხოვნილებანი კავშირისა, რომელსაც საქართველო პირველ შემთხვევისთანავე შეუერთდება. საქართველო იღებს და თანახმაა სხვა კონვენციებთან გაცვლა-გამოცველისა 1. წერილები და ყუთები გამოცხადებულ ღირებულებებით, 2. პატარა ზომის ამანათი. საქართველოს ფოსტის ადმინისტრაცია უფლებას გამოითხოვს აიღოს ამასთანავე დამატებითი გადასახადი, რომელიც არ აღემატება 50 სანტიმს თითო მანეთზე.

# სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წ. ივნისის 30 განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

(სხდ. გახსნა დანიშნ. დილის 10 საათ.)

1. საჩივარი პეტრე ზუმბაძისა სახელმწიფო კონტროლიორის განკარგულებაზე—ჯამაგირის შესახებ.

2. საჩივარი გიორგი ჩომახიძის რწმუნებულის ნაფ. ვექ. მიხეილ ბერძულისა—ჭიათურის ქალაქის გამგეობასთან. მიწის შესახებ.

3. საჩივარი მუხზაყან როსტომის ძე მაღლაკელიძისა და ლეონტი მუმლაძისა მიწათმოქმედების სამინისტროსთან ნორმის შესახებ.

4. საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობისა მიქაძის ბინის რეკვიზიცის შესახებ.

5. საჩივარი ბორის ალექსანდროვსკის ოთახებზე ნიხრის დაწესების შესახებ.

6. საჩივარი ალექსანდრე შალამოვის და სარქიშ გევორქოვისა შრომის მინისტრის დადგენილებაზე აბანოების მოსამსახურეთა დათხოვნისა და სალიკვიდაციო ფულით დაუკმაყოფილების შესახებ.

# ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის სხდომა

სასახლეში 27 ივნისს შესდგა ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის სრული შედგენილობის კრება სერ. ჟორჟოლიანის თავმჯდომარეობით, რომელზედაც ახალ წევრთა შორის დაესწრენ: სამხედრო კომისიის წარმომადგენ., დამფუძნებელი კრების წევრი ნიაიმნაიშვილი, ჯარის წარმომადგენ. ტ. ართმელაძე, პროფესიონ. კავშირებისაგან ფანცხავა და ვაჭრობა-მრეწველთაგან ლალიძე.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლის ველზე დახოცილთა ხსოვნას.

სერ. ჟორჟოლიანმა გააკეთა მოხსენება წარმოებულ მუშაობის შესახებ და გააცნო კრებას მომავალი მუშაობის გეგმა, რაც პრესაში იქნება გამოქვეყნებული.

მოხდა პრეზიდიუმისა და თავმჯდომარის ხელახალი არჩევნები. თავმჯდომარედ კომიტეტისა ისევ, ერთხმად არჩეულ იქნა სერ. ჯორჯოლიანი, ამხანაგებათ ქ-ნი ნ. ნ. გაბაშვილისა და სოლ. დოლიძე; მდივნათ ფანცხავა, ხოლო მოლარეთ ბ-ნი ლალიძე. ამ პრეზიდიუმს დაევალა იმოქმედოს დამოუკიდებლათ ზოგიერთ საკითხებში და აწარმოოს მუშაობა.

სარევიზიო კომისიაში მოხვდენ: ქ-ნი ელიავასი, პოლკოვ. ტ. ართმელაძე და პარკოსაძე.

ომში გაწვეულ ჯარის-კაცთა ყანების დამუშავების საქმეში ხელის შეწყობის შესახებ კომიტეტმა დაადგინა ხელი შეუწყოს ამა საქმის მთავრობის მიერ განხორციელებას.

დასასრულ გაირჩა შემოსული თხოვნები, რომელთა შორის ერთდროულ დახმარებაზე კომიტეტმა ყველას უარი უთხრა გარდა ზოგიერთ შემთხვევისა, რადგანაც მთელი თანხა უნდა მოხმარდეს რაიმე მუდმივსა და გამოსადეგ საქმეს, ხოლო ერთდროული დახმარებით კომიტეტი მიზანს ვერ მიაღწევს:

ყაზბეგში ჯარისათვის თეატრის გადასაკეთებლათ გადაიდო 30.000 მანეთი.

დასასრულ კომიტეტმა მოისმინა დაჭრილდასახიჩრებულთა კავშირის შუამდგომლობა, რათა კომიტეტმა გაიღოს თანხა საქართველოს დაჭრილთა და დასახიჩრებულთა დელეგატების გასაგზავნათ მომავალ ყველა ქვეყნების ინვალიდთა კონფერენციაზე დასასწრებათ.

კომიტეტმა დაადგინა: ვინაიდან ამ საქმეს დიდი თანხა სჭირდება და აქაური ინვალიდებია საპატრონო და კომიტეტის მომავალ ზრუნვის საქმეს ისინი შეადგენენ, კომიტეტი იმ აზრისაა, რომ ადგილობრივ უნდა მოხდეს დასახიჩრებულთა პატრონობა, რისთვისაც აირჩიეს სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გაეცნოს დასახიჩრებულთა მდგომარეობას, მათ მუშაობას და გაარკვიონ მათი დახმარების ორგანიზაციის მოწყობა თავისი ინიციატივით და მთავრობის დახმარებით. კომიტეტმა სასურველად აღიარა კავშირიდან მოიწვიოს ერთი სრულუფლებიანი წევრი კომიტეტში სამუშაოდ.

# არდაგან-ართვინი.

არდაგან-შავშეთ-ართვინში მოგზაურობიდან დაბრუნდა დამფ. კრების წევრი გ. ანჯაფარიძე, რომელმაც საქარ. დეპ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს ოლქში არსებულ განწყობილების შესახებ შემდეგი განაცხადა: არდაგანის ოლქში სთქვა ანჯაფარიძემ, პოლიტიკური მდგომარეობა მტკიცეა. მთავრობის წარმომადგენელებს და ჯარს მცხოვრებლები ნდობით უყურებენ, ვინაიდან მათში ხალხის ინტერესების დამცველს ხედავენ. მცხოვრებლები შარშანდელ მოუსავლობის გამო სურსათის ნაკლებობას გრძნობენ. მთავრობა მცხოვრებლებს დახმარებას უწევს: თავის დროზე გააგზავნა იქ სათესი ხორბალი და სურსათი, მაგრამ დახმარება უნდა იქნეს გაძლიერებული. იმ მცხოვრებთა მდგომარეობა, რომლებიც ჩვენი გავლენის სფეროს გარეშე იმყოფებიან, გაცილებით უარესია, რაც ნათელი ხდება სხვა და სხვა დელეგატების განცხადებიდან, რომლებიც გვთხოვენ არდაგანის დანარჩენ ნაწილის შემოერთებასაც. ასეთივე კარგი მდგომარეობა არის შავშეთში. მიუხედავათ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პროვაკაციულ მუშაობისა, მცხოვრებლები არ წამოეგენ პროვაკაციის ანკესზე და ჩვენ ჯარებს აღფრთოვანებით შეხვდენ. ჩვენი ჯარები ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ილაშქრებენ ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც შავშეთსა და ზემო აჭარას ეცემიან. ამ ჟამად, ადგილობრივ მცხოვრებლებთან სრული შეთანხმებით, შავშეთში სდგება ადმინისტრაცია და აგრეთვე იღებენ ზომებს ავანტიურისტულ გამოსვლების წინააღმდეგ. თვით ართვინში, ინგლისის ნაწილები იდგა, მაგრამ ისინი როგორც წავიდენ, მცხოვრებლებმა ჩვენ ჯარებს მიმართეს თხოვნით ქალაქში შესულიყვენ. ართვინის ოლქში წელს მოსალოდნელია კარგი მოსავალი. სასურსათო მდგომარეობა იქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე ართაანში. ჩვენი ჯარების სულიერი განწყობილება საუცხოვოა. ჯარები აკვირვებს ადამიანს თავისი შეგნებითა და დისციპლინით. ისინი არ გრძნობენ სურსათის ნაკლებობას. უნდა აღინიშნოს პოლ. ვაჩნაძის მოქმედება, რომელმაც შესძლო ასეთი ძალების შექმნა ამ რაიონში.

# რკინის გზაზე

ადერბეიჯანიდან მომავალ მგზავრებს ფოილის ხიდიდან სადგურ სალოღლამდე რვა ვერსის მანძილისა გადახდებათ შიგ მატარებელში: პირველი კლასისა 25, მეორისა 15 და მესამისა 10 მან.

ადერბეიჯანთან ომისა გამო საქ. რესპუბლიკის სადგურებზედ დაჭერილი საქონელი, რადგან საწყობებში იქმნა გადმოტვირთული, რომ ვაგონები არ მომცდარიყო, და ახლა დანიშნულებისამებრ გაგზავნის დროს ხელახლად იტვირთება, იხდის გადმოტვირთვის და დატვირთვის ხარჯს ფუთზედ ორ მანეთს.

მუშა-მოსამსახურეთა დასახმარებლად, რომელთაც უსაღსრობის გამო ჯერაც არ შეუტანიათ თავიანთ შვილების სწავლის ფული წარსული ნახევარ წლისა, გადიდებულია 250000 მან. მსურველმა თხოვნასთან ერთად უნდა წარუდგინოს თავის განყოფილების უფროსს სასწავლებლის მოწმობა, რომ შვილი მართლა სასწავლებელში ჰყავს და... მან. ადევს ვალად. სესხი ოთხი თვით მიეცემა.

## განცხადებანი

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული არსენალიდან; პასპორტი მიღებული ხოვლის საზოგადოებიდან; მეტრიკული ამონაწერი და საქართველოს ს.-დ. პარტიის წევრობის ბარათი № 3111 შიო ივანეს ძე მეცხვარიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1649 3—3

დაიკარგა ტფ. სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი № 372 მოცემული 1918 წ. ივანე თედორეს ძე ფომინის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1650 3—3

1919 წლის თებერვლის 4-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე ამხარბეკის ძე იგივე ალექსანდრეს ბებუთოვმა 4800 მან. მიჰყიდა ნიკოლოზ სარქისის ძე ოგანოვს მიწის ნაჭერი ზომით 2 დეს. მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში, ქალაქის № 370.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., და სიმტკიცის 192 მან.

მთავარი ამონაწერი 24 მან. ღირებულ სალერბო ქალალდზე მიცემულია. 339 1—1

1919 წლის თებერვლის 4-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე ამიხარბეკოვის ძემ იგივე ალექსანდრეს ძემ ბებუთოვმა 2400 მ. მიჰყიდა ავაკ სარქისის ძე ანდრასოვს მიწის ნაჭერი ზომით 2 დეს., მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში, ქალაქის № 359.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ, გადასაწერი 1 მ. 20 კ. და სიმტკიცის 96 მან.

მთავარი ამონაწერი 12 მ. ღირებულების სალერბო ქალალდზე მიცემულია. 339 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა აბაშის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან მიღებული № 669 შტაბის წევრი ივანე ზურაბის ძე მაძალუას სახელზე. მოწმობაში აღნიშნული არის პარაბელიუმის სისტემის რევოლვერის ტარების ნებართვა და დეპეშების კვიტანციები. გაუქმებულათ ჩაითვალოს: 685 3—1

დაიკარგა პასპორტი № 88, მიღებული გამოჩინებულის თემიდან და ომში დაჭრილთა კავშირის წევრობის ბარათი სურათით—მელქისადეგ ლეონტის ძე ტონიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1680 3—1

დაიკარგა პასპორტი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე იშხანოვის სახელზე, მიღებული ბაქოს ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1681 3—1

დაიკარგა მეხუთე ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლ. მოწაფის არჩილ ჯანდიერის მოწაფეობის ბილეთი № 7. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1671 3—1

დაიკარგა სამგზავრო წლიური ბილეთი, პირადობის მოწმობა (სურათით), მიღებული საქ. სახ. რკ. გზის სამართველოდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან სერგო სტეფანეს ძე გიგილაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1672 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან, და რეგისტრაციის მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედ. აღრიცხვის უფროსისაგან არტოშ ოგანეზას-ძე ხაჩატუროვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1684 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული მალაკის საზოგადოების კანცელიარიდან და ჯარში ნამსახურობის ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ნესტორ კოსტას ძე ლექვინაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1679 3—1

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე დავითის ძე ქლენტის სახელზე, მიღებული ამაღლების თემიდან (გურია) და სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1666 3—1

1919 წლის თებერვლის 4-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლეონ, იგივე ლევან პავლეს ძე გაბაშვილმა 50000 მან. მიჰყიდა ქართულ კულტურულ-მშრომელ კავშირს მიწის ნაჭერი ზომით 67,2 ოთხკ. საჟ. მდებარე ქ. ტფილისის 8-რე უბანში პანასევიჩის, ახალი არსენალის და 1 გონჩარნის ქუჩაზე, ქალაქის № 124. 339 1—1

დაიკარგა პასპორტი სიმონ სესილის ძე ბელოუსოვის სახელზე, მიღებული ბათომის უკრაინელების საკონსულოდან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1653 3—3

დაიკარგა პასპორტი № 72 გალაქტიონ ივანეს რეხვიაშვილის სახელზე, მიღებული ჭიორის საზოგადოების კომისრისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1635 3—3

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს, რომ ლარიმ დაკარგა № 484269 მოწმობა 12100 მან. ფასდადებულ საქონელზე საგზავნით „ქუთაისი—საჯევახო“ გაუქმებულათ ჩაითვალოს.
664 3—3

დაიკარგა მოწმობა № 758, მიღებული საქციზო სამმართველოდან იოსებ კობელაშვილის სახელზე, რომ მას აქვს რესტორანი სათანადო პატენტით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა №5374 სერგო არტემის ძე გორგაძიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1658 3—2

დაიკარგა პასპორტი დომნიკია იაკოფას ასული პოდრეზოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—

1918 წ. მარტის 19-ს ტფ. ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ნერსეს და არშაკ ამბარცუმის ძემ პაპიანცებმა 55.000 მ. მიჰყიდეს მოქ. დავით სიმონის ძე არჯევანიძეს მიწის ნაჭერი, ზომით, 50 ს. 2 მესამედი არ. (კვ.) მდებარე ქ. ტფილისის მე-9 უბ., ალექსეევის ქ., ქალაქ № 588. გადახდილია: სააქტო 3. მ., განცხ., 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 2200 მ. მთავარი ამონაწერი 245 მ. ღირებულების სალერბო ქალალდზე მიცემულია. 323 1—1

მაშადი გასან მეხტიევის და ალესკერ აბპერ ზადეს ქონებაზე ოპეკუნმა ნაფიცმა ვექილმა კანანოვმა დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრი № 2848, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1612. 3—2

დაკარგულია პასპორტი ექიმ იოანეს მინას ძე ისახანოვის სახელზე, მიცემული ოდესაში რუმინიის საკონსულოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1011 2—2

1918 წ. მარტის 19-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. დავით სერგის ძე არუთინოვმა 2000 მ. მიჰყიდა მესროპ ბადალის ძე არზუმანიანცს მიწის ნაჭერი, ზომით 400 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-9 უბ. ნორიის ქ., № 858.

გადახდილია: სააქტო. 3 მ,, განცხ. 1 ი. 50 გადასაწ. 60 კ. სიმტკიცის 80 მ. მთავარამონაწერი 10 მ. ღირებულების სალერბო ქალალდზე მიცემულია. 323 1—1

დავკარგე რკინის გზის სასურსათო განყოფილების წიგნაკი № 26082 დურგლიშვილის სახელზედ გთხოვთ გაუქმებულად ჩაითვალოს.
1667 3—1

ნიკოლოზ არტემის ძე იაროვი აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ მისი შვილისადმი ადამ ნიკოლოზის ძე იაროვისადმი და დამტკიცებულს ტფილისის ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ 1920 წ. 22 მარტს № 1244. 1662 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან მარიამ ივანეს ასულ კავალიოვის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1663 3—1

დაიკარგა მეეტლეობის მოწმობა სანდრო ზაქარიას ძე გულიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1640 3—2

დაიკარგა პასპორტი ანტონ იაკოფის ძე ბანეთიშვილის სახელზე, მიღებული, მარტყოფის სოფლის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1627 3—2

დაიკარგა ატესტატი № 140 ბორის ლევის სახელზე, მიღებული პალმოვის რუსულ აშუალო სასწავლებლიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1630 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 20.. მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ა. წ. 8 ივნისს; პირადობის მოწმობა № 1861, მიღებული სომხეთის ნაციონალურ საბჭოდან და, მოწმობა, მიღებული კავკავის ქალაქის მილიციიდან 1919 წ. ივანე ალექსანდრეს ძე ოგანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1614 3—2

დაიკარგა ვაჭრობის ნებართვა № 213 ათანასი გიორგის ძე ლარიონოვის სახელზე, მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1632 3—2

დაიკარგა მოწაფეობის მოწმობა ალექსანდრე არიუტინიანის სახელზე, მიღებული ტფ. 5 ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1633 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ბათუმის საკონსულოს მიერ, სამხედრო ნუსხა, მიღებული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, ცენტრობანკის ორმოცი აქციების დროებითი მოწმობები და სხვა საბუთები ევ. ჩხატარაიშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1569 3—3

## სადახლოს საბაჟო

დაიკარგა ატესტატი, მიღებული ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებლიდან და მასწავლებლათ დანიშვნის მოწმობა კარცხელის 2 კლ. სასწავლებლის მასწავლებლის აქვსენტი ერისტოს ძე ლავგილავას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1647 3—2

# გამგეობა ევროპიულ კავკასიურ სავაჭრო ბანკისა

აცხადებს რომ, 1920 წ. 1 ივლისს, დილის 10 საათზე, ბანკის შენობაში, რუსთაველის პრ. № 10 (ბარიათინსკის ქ. კუთხე) დინიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

1934 წყვილ ფეხსაცმელებზე (შვეიცარიაში დამუშავებული) ვაჭრობა დაიწყება 4.653,171, 95 მანეთიდან მთელი პარტიის.

ის, ვისაც დარჩება საქონელი, ვალდებულია შემოიტანოს ჯამის⅓, ვაჭრობის დროს, და დანარჩენი ⅔ უნდა შემოიტანოს, 7 დღის შემდეგ.

716 1—1 გამგეობა